

ქართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

სექსუალური განათლების ევროპული  
სტანდარტები - ეს არის გზა იუვენალური  
ფაშიზმისა და სოდომ-გომორისკენ!



თბილისი  
2013

## სექსუალური განათლების ევროპული სტანდარტები - ეს არის გზა იუვენალური ფაშიზმისა და სოდომ-გომორისკენ!

„სექსუალური განათლების მთელი ინდუსტრია ამოიზარდა  
კინის ფალსიფიცირებული მონაცემებიდან“  
ჯუდიტ რეისმანი

ანტიქრისტეს განხორციელებისათვის მზადებას მრავალი წახნაგი აქვს: ეკლესიოლოგიურ-რელიგიური, სამართლებრივი, ეკონომიკურ-სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და სხვა. გლობალიზაცია ანტიქრისტეში ცდილობს ყოველგვარი ფასეულობის ნიველირებას, განსაკუთრებით კი - რელიგიური და ეროვნული ფასეულობებისა, ვინაიდან ესწრაფვის ერთი ერთსა და ერთი სარწმუნოების შექმნას, რომლის ლიდერი - როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით - ანტიქრისტე იქნება. ანტიქრისტეში გლობალიზაციის პროცესი ანტიქრისტეს სტანდარტების დანერგვის გზით ხორციელდება. ზნეობრივი თვალსაზრისით, ანტიქრისტეს სტანდარტები ქრისტეს სტანდარტების (მცნებების) საპირისპიროს გულისხმობს - გარყვნილებას, სიძვა-მრუშობას, საზოგადოების სოდომ-გომორიზაციას, ძალადობასა და ყოველგვარ სიბილწეს, რომელთა სიჭარბე მეორედ მოსვლის წინაპირობა იქნება. სწორედ ანტიქრისტეს სტანდარტებითაა განსაზღვრული მასშედის საშუალებებით გარყვნილების პროპაგანდა, სკოლებში სექსუალური განათლების შეტანა, პომოსექსუალიზმის ქადაგება, აბორტების ლიბერალიზაცია, პროსტიტუციისა და ნარკომანიის ლეგალიზაცია, კონტრაცეფციის და მსგავსი მეთოდოლოგიების ფართოდ გავრცელება. უკვე საუბარია ისეთი ბოროტების ლიბერალიზაციასა და ლეგალიზებაზე, როგორიცაა ინცესტი (ახლო ნათესავებს შორის სიძვა-მრუშობა) და პედოფილია (არასრულწლოვნებთან სექსუალური ურთიერთობები ანუ ბავშვთა გახრწნა). მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ ცნობას: ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომელიც შეადგინა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, პედოფილია 1965 წელს სქესობრივ გარყვნილებათა ჯგუფს მიაკუთვნეს, 1973 წელს „გადახრად“ დასახელდა, ხოლო 1993 წელს - „სექსუალური ორიენტაციის დარღვევად“. ახლა უკვე საუბარია პედოფილის სექსუალურ ორიენტაციად გამოცხადების თაობაზე. მსგავსი საუბრებია ინცესტოან დაკავშირებითაც: პომოფობის მსგავსად, გაჩნდა ტერმინი ინცესტოფობია. და როგორც პომოფობის კრიმინალიზებას ესწრაფვის დემონიზებული დასავლეთი, ისე უახლოეს მომავალში დაიწყება საუბარი ინცესტოფობის კრიმინალიზებაზე. ამგვარად, სახეზეა

მსოფლიოს სექსუალური ტოლერანტობის, ყბადაღებული თანამედროვე გაგების ტოლერანტობის შემადგენილი ელემენტის, ევოლუცია, ერთგვარი „სექსუალური ეკუმენიზმი”.

სექსუალური განათლების სკოლებში შეტანა უნდა განვიხილოთ გლობალიზაციის კონტექსტში ანუ მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შობადობის, მოსახლეობის შემცირების (ე.წ. დემოგრაფიული კორექტირების) და პიროვნების დეგრადირება-ნიველირების, მისი მართვად ობიექტად ქცევის მსოფლიო პროცესებს. ამ მიმართულებით მსოფლიო პოლიტიკა მრავალი წლით განსაზღვრა 1974 წელს აშშ-ში შემუშავებულმა საიდუმლო მემორანდუმმა, ე.წ. გეგმა NSSM-200 (National Security Study Memorandum), რომელსაც იმ მომენტისათვის მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო იარაღის სტატუსი და რომლის ძირითადი მიზანი იყო აშშ-ს ინტერესებისა და მიზნებიდან გამომდინარე მსოფლიო მოსახლეობის შემცირება. ამ გეგმაში ბიძგი მისცა ისეთი პროგრამების განვითარებასა და გავრცელებას, როგორიცაა ოჯახის დაგეგმარება, კონტრაცეფცია და სტერილიზაცია, სექსუალური განათლება, და სხვა. მემორანდუმში ხაზგასმითაა აღნიშნული: „არ უნდა შევამციროთ ძალისხმევა მოზრდილი მოსახლეობის მიმართ. ამავე დროს, აუცილებელია კონკრენტრირება მოვახდინოთ მოზარდ თაობაზე - მათზე, რომლებიც ახლა დაწყებით სკოლაში არიან”.

შობადობის შემცირებისა და „დაგეგმვის“ პროგრამების გავრცელებისათვის საჭირო იყო სოციალური და ფსიქოლოგიური წინაპირობების შექმნა. მემორანდუმში ამის ხელშემწყობ ფაქტორებად, სხვებთან ერთად, მიჩნეულია:

- გვიანი ქორწინებები,
- ფემინისტური ტენდენციები - მემორანდუმში გარკვევითაა ნათქვამი: „ბოლო გამოკვლევებით შევძლით დაგვედგინა შობადობის შემცირების ხელშემწყობი ფაქტორები. მათ შორისაა ქალის არატრადიციული როლის გაზრდა“. ამასვე უკავშირდება გენდერული გამოკვლევები და პროგრამები.

მემორანდუმში გათვალისწინებული იყო „ახალი თაობის ორიენტირება მცირერიცხოვან ოჯახებზე”.

უსაფრთხო და არატრადიციულ სექსთან და სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ეს საკითხები უნდა შესულიყო სექსუალური განათლების პროგრამებში. არსებითად, მემორანდუმში წარმოდგენილია ახალი სახეობის ომის სტრატეგია და ტაქტიკა. ამასთან, ეს ომი უკვე წარმოებს. ბევრგან, მათ შორის, საქართველოში, ეს ჯერ კარგად არ გაუცნობიერებიათ.

„მოსახლეობის რეგულირების მიზნით მოქმედების პროგრამა“, რომელიც კაიროში მიიღეს, ფაქტობრივად, იმეორებს 1974 წლის ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების მემორანდუმს, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, აქ ღიად არ არის ნათქვამი, რომ ამერიკას განზრახული აქვს განუვითარებელ ქვეყნებში შეამციროს მოსახლეობა და ამით თავისი კუთილდღეობა უზრუნველყოს. გაეროს დასახლების ფონდის (UNFPA) რეკომენდაციებში საქართველოსადმი (იხ., „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების

საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში” და „«ათასწლეულის განვითარების მიზნები» და საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის პერსპექტივები” პირდაპირაა ხაზგასმული, რომ საჭიროა ქვეყნის კანონმდებლობის კაიროს კონფერენციის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. მრავალ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთია „რეპროდუქციული ასაკის ქალების უფასოდ მომარაგება კონტრაცეპტიული საშუალებებით”, ხოლი ძირითად ინდიკატორთა შორის პირდაპირაა დასახელებული „სქესობრივი განათლების პროგრამების მქონე სკოლების ხვედრითი წილის გაზრდა”.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ რეკომენდაციას:

– „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგების მომზადებასა და შესაბამისი კომუნიკაციური მეთოდიების შემუშავებას, რომლებიც, ძირითადად, მიმართულია ცრუ სიმორცხვის გრძნობის აღმოფხვრისაკენ”.

ამას უწოდებენ „სიმორცხვის მოხსნის გაკვეთილებს”. ამით იწყება სექს-განათლების მრავალი პროგრამა, და ეს კურიოზი კი არ არის, არამედ კაიროს კონფერენციის რეკომენდაცია №20-ისადმი შესაბამისობა.

სექსუალური განათლების პროგრამები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. სექს-განათლების პრინციპებიდან გამომდინარე განსხვავებული მიღვომებია აშშ-სა და ევროპის განათლების სივრცეებში. საქართველო უფრო მოაზრება ევროპის სივრცის შემადგენელ ნაწილად, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მიერთებულია ევრო-კონფერენციებს.

მაგალითისათვის, „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვის შესახებ” ევროპის საბჭოს 25.10.2007წ. №201 კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის სათაურია „ბავშვთა განათლება”, აღნიშნულია, რომ „ყოველი მხარე იღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომლებიც მიმართულია დაწყებით და საშუალო განათლების პროგრამებში ბავშვებისათვის იმ ინფორმაციის ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ ექსპლუატაციასა და სექსუალურ ძალადობასთან, ასევე თავის დაცვის საშუალებების შესახებ ბავშვთა განვითარებად უნარებთან ადაპტირებულ ინფორმაციასთან. ასეთი ინფორმაციები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან თანაქმედებით მიეწოდება, მოცემულია სქესობრივი აღზრდის უფრო ფართო კონტექსტში, და მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გაზრდილი საფრთხის შეცველ სიტუაციებს, განსაკუთრებით დაკავშირებულთ ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებასთან”. ამგვარად სენტებული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესრულება გულისხმობს დაწყებით და საშუალო სკოლებში სქესობრივი/სექსუალური განათლების პროგრამების შემოტანას.

ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაკუთმოთ სწორედ სექსუალური განათლების ევროპულ სტანდარტებსა და პრინციპებს.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ სექსუალური განათლების შემოღების ისტორიას ევროპაში. დასავლეთ ევროპის სკოლებში სექსუალური განათლების გამოჩენა ისტორიულად დაემთხვა კონტრაცეპტუციის თანამედროვე მეთოდების განვითარებას, კერძოდ, პორნონალური აბების გამოჩენას, ასევე, 1970-80-იან წლებში უმრავლესი ქვეყნების მიერ აბორტების ლეგალიზებას. ამ ცვლილებებმა ბიძგი მისცეს ე.წ. „სექსუალურ რევოლუციას”; სექსუალობასთან

მიმართებაში დაიწო ფასეულობათა გადაფასება, ნორმებისა და თავად ქცევის ცვლილებები. ახალგაზრდობაში სულ უფრო და უფრო იწყო გავრცელება ქორწინებამდელმა სექსუალურმა კონტაქტებმა და თანაცხოვრებამ ქორწინების რეგისტრაციის გარეშე. 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის პირველი სექსუალური კონტაქტის საშუალო ასაკმა ევროპაში დაიწია 16-18 წლამდე, მაშინ როდესაც პირველმა მშობიარობის ასაკმა აიწია 28-30 წლამდე.

პირველი სავალდებულო სექსუალური განათლება შვეციაში 1955 წელს შემოიტანეს. 1970-80-იან წლებში დასავლეთ ევროპის მრავალმა ქვეყანამ მიბაძა შვეციას. მაგალითად, გერმანიაში სექსუალური განათლება შემოიტანეს 1968 წელს, ავსტრიაში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში - 1970 წელს. სასკოლო პროგრამაში სექსუალური განათლების შეტანა ევროპაში მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის გრძელდებოდა - თავიდან საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, შემდგომ პორტუგალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. თვით ირლანდიაში, სადაც ტრადიციულად ძლიერია რელიგიური ოპოზიცია, სექსუალური განათლება დაწყებით და საშუალო სკოლებში 2003 წლიდან სავალდებულო გახდა. ევროპის კავშირის მხოლოდ რამდენიმე ქვეყნას არა აქვს დღემდე სექსუალური განათლების სისტემა.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პროცესები 20-30 წლის დაგვიანებით დაიწყო. დღეისათვის მხოლოდ ჩეხეთსა და ესტონეთს აქვთ დასავლეთ ევროპის სტანდარტების შესაბამისი სექსუალური განათლების სისტემა.

სექსუალური განათლების საგნებს სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებული დასახელებები აქვთ. არის განსხვავებები პრინციპებსა და მიღებებიც. განზოგადებული სახით მსოფლიოში სექსუალური განათლების პროგრამები შეიძლება სამ დიდ ჯგუფად დაიყოს:

- პროგრამები, რომლებიც ძირითადად ან უკლებლივ მიმართულია ქორწინებამდე სექსუალურ კონტაქტებისაგან თავშეკავების მოწოდებისკენ (პროგრამები „როგორ ვთქვათ „არა,“ ან „თავშეკავების“ პროგრამები) (პირველი ტიპის პროგრამები);
- პროგრამები, რომლებიც საუბრობენ თავშეკავებაზე, როგორც შესაძლო არჩევანზე, მაგრამ ამავე დროს სთავაზობენ კონტრაცეულციის მეთოდებისა და „უსაფრთხო სექსის“ პრაქტიკის გაცნობას. ამ პროგრამებს, - „მხოლოდ თავშეკავების“ პროგრამების საპირისპირო, - ხშირად უწოდებენ „მრავალმხრივ სექსუალურ განათლებას“, (მეორე ტიპის პროგრამები);
- პროგრამები, რომლებიც მოიცავენ მეორე ტიპის პროგრამის ელემენტებს, მაგრამ მათ განიხილავენ პიროვნების განვითარების უფრო ფართო კონტექსტში. სწორედ ეს პროგრამები დაედო საფუძვლად ევროპის სექსუალური განათლების სტანდარტებს, რომელიც ისინი მიაკუთვნეს „სრული სექსუალური განათლების“ კატეგორიას. (მესამე ტიპის პროგრამები).

პირველი ტიპის პროგრამებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა აშშ-ს რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ. გამომდინარე იქიდან, რომ სექსუალური განათლების 30 წლიანმა პერიოდმა კატასტროფული შედეგები მოიტანა აშშ-სთვის (ამის შესახებ ჩვენ ვწერდით ჩვენს წიგნში „გამოუცხადებელი დემოგრაფიული ომი საქართველოს წინააღმდეგ“)

თბილისი, 2007წ.), პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ 2002 წლიდან მიზნად დაისახა იმ პროგრამების ხელშეწყობა და დაფინანსება, რომლებიც მოზარდებს ასწავლიდნენ და მოუწოდებდნენ ქორწინებამდე თავშეკავებისაკენ, ქორწინებაში ერთგულებისა და ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებისაკენ. თუმცა, ვეჭვობთ, რომ პრეზიდენტ იბამას ადმინისტრაციამ, რომელიც ღიად გამოდის ჰომოსექსუალიზმის მხარდასაჭერად, ხელი შეუწყოს „თავშეკავების” პროგრამებს. საერთოდ, 1-ლ და მე-2 ტიპის პროგრამები დამახასიათებელია აშშ-სთვის, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპისაში უფრო გავრცელებულია მე-3 ტიპის პროგრამები. დასავლეთ ევროპაში მოზარდთა სექსუალობა, როგორც წესი, განიხილება არა როგორც პრობლემა და საფრთხე, როგორც ეს ამერიკის პროგრამებისთვის არის დამახასიათებელი, არამედ როგორც პიროვნების განვითარებისა და სრულყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი.



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა ორგანიზაციამ, ჯანდაცვის სფეროში განათლების გერმანის ფედერალურ ცენტრთან (კიოლნი) ერთად შეიმუშავა და გამოაქვეყნა მათ მიერ რეკომენდირებული „ევროპაში სექსუალური განათლების სტანდარტები“. (**Federal Centre for Health Education (BZgA) and WHO Regional Office for Europe. Standards for Sexuality Education in Europe. A framework for policy-makers, educational and health authorities and specialists. Cologne 2010.**).

დოკუმენტები მუშაობდა ევროპის 9 ქვეყნიდან მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა სფეროს: მედიცინისა და ფიქოლოგიდან დაწყებული, საზოგადოებრივი მეცნიერებებით დამთავრებული. სტანდარტებში ფორმულირებულია ძირითადი ცნებები („სექსუალობის”, „სექსუალური ჯანმრთელობის”, „სექსუალური უფლებების” და ა.შ.) და სექსუალური განათლების პრინციპები.

სავარაუდოდ, სწორედ ამ დოკუმენტში გადმოცემული სტანდარტების მიხედვით მოუწევთ ხელმძღვანელობა საქართველოს სკოლებში სექსუალური განათლების პროგრამების შემოტანის მესვეურებს. ამიტომ უპრიანია განვიხილოთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ორგანიზაციისა და ჯანდაცვის სფეროში განათლების გერმანის ფედერალური ცენტრის სქესობრივი (სექსუალური) აღზრდის/განათლების სტანდარტები, რომლებიც გადმოცემულია ამ ორგანიზაციების რეგიონალური ბიუროს 2010წ. გამოცემულ ბროშურაში „ევროპის სექსუალური განათლების სტანდარტები. ჩარჩო დოკუმენტი პირთათვის, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკას, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის“. ამ დოკუმენტის ნაწილში („სექსუალური განათლების მატრიცა“) მოცემულია დებულებები, სტანდარტები (ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმეს“):

## 6-9 წელი

ინფორმაცია (მიგაწოდოთ ინფორმაცია), უნარ-ჩვევები (ვასწავლოთ ბავშვებს), მიზნები (დაგეხმაროთ ბავშვებს განავითარონ):

- სექსუალურობა
- სიყვარული, შეყვარებულობა, სინაზე
- სექსი მასმედიაში (ინტერნეტის ჩათვლით)
- სიხარულისა და სიამოვნების განცდა საკუთარ სხეულთან შეხებით (მასტურბაცია/თვითსტიმულაცია)
- სათანადო სექსუალური ტერმინოლოგია
- სქესობრივი აქტი
- პირადი ცხოვრებისადმი საკუთარი და სხვა პირების მოთხოვნილების გაცნობიერება
- „მასმედიაში სექსთან” სწორი დამოკიდებულება
- სექსუალური ღერძისკის გამოყენება, რომელიც არ გულისხმობს შეურაცხყოფას
- „მისაღები სექსის” გაგება (ორმხრივი თანხმობით, თანასწორუფლებიანი, ასაკის, პირობებისა)
- საკუთარი ღირსების პატივისცემის შესაფერისი სექსისა)
- იმის გაგება, რომ მასმედიაში სექსი გადმოცემულია სხვადასხვანაირად

## 9-12 წელი

ინფორმაცია (მიგაწოდოთ ინფორმაცია), უნარ-ჩვევები (ვასწავლოთ ბავშვებს), მიზნები (დაგეხმაროთ ბავშვებს განავითარონ):

- სექსუალურობა
- პირველი სექსუალური გამოცდილება
- გენდერული ორიენტაცია
- ახალგაზრდების სექსუალური ქცევები (განსხვავებები სექსუალურ ქცევებში)
- სიყვარული, შეყვარებულობა, სიამოვნება, მასტურბაცია, ორგაზმი
- განსხვავება გენდერულ იდენტურობასა და ბიოლოგიურ სქესს შორის
- სხვადასხვა სექსუალურ შეგრძნებების აღქმა და გამოხატვა, სექსუალურობის შესახებ სათანადო საუბარი
- გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, ჰქონდეს თუ არა სექსუალური გამოცდილება
- არასასურველ სექსუალურ კონტაქტზე უარის თქმა
- განასხვავოს ერთმანეთისაგან სექსუალურობა „რეალურ ცხოვრებასა” და მასმედიაში
- კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება
- სექსუალურობისა და სექსუალური ორიენტაციების მრავალფეროვნება
- სექსუალურობის, როგორც შემეცნების პროცესის გაგება
- სექსუალურობის გამოხატვის სხვადასხვა ფორმების მიღება

საინტერესოა, თუ რას ეყრდნობა, საიდან მომდინარეობს სექსუალობის ასეთი გაგება და მისგან გამომდინარე პრინციპები და სტანდარტები? სექსუალური განათლების თანამედროვე მეთოდოლოგია, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში, ძირითადად, ეყრდნობა ამერიკელი ექიმ-სექსოპათოლოგის, ალფრედ კინსის, ნაშრომებს, ორ მონოგრაფიას ადამიანის სექსუალური ქცევის შესახებ, - რომლებიც იკვლევენ ადამიანის სექსუალურ ცხოვრებასა და სექსუალურ ფანტაზიებს. კერძოდ, როგორც ამას ჯუდიტ რეისმანი ამბობს, მთელი სექსუალური განათლების კონცეფცია და მეთოდოლოგია ეყრდნობა ე.წ. „კინსის მოხსენებებს”, - ეს არის ორი მონოგრაფია ადამიანის სექსუალური ქცევის შესახებ: „მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა” (გამოქვეყნდა 1948წ.) და „მდედრი ადამიანის სექსუალური ქცევა” (გამოქვეყნდა 1953წ.). კინსი იყო ზოოლოგი ინდიანას უნივერსიტეტში და შემდგომ დაარსა სექსის კვლევის ინსტიტუტი. მისი პირველი წიგნი მაღლევე შეიტანეს „ყველაზე ცუდი თანამედროვე წიგნების” სიაში მე-3 ნომრად, ხოლო მეორე წიგნი - „ყველაზე საშიში 10 წიგნის” სიაში მე-4 ნომრად. კინსის ნაშრომების კომპეტენტური კრიტიკა მოგვცა მედიაგანათლების ინსტიტუტის პრეზიდენტმა, ხელოვნების მაგისტრმა და ფილოსოფიის დოქტორმა, სამართლის პროფესორმა, ჯუდიტ რეისმანმა, რომელიც ცნობილია, როგორც სექსუალური განათლების კრიტიკოსი და პორნოგრაფიის წინააღმდეგ მებრძოლი. კინსის მიმართ მისი ბრალდებები შემდეგ მტკიცებულებებს შეიცავს:

1. დოქტორ კინსის „სამეცნიერო მიგნებები” იყო თაღლითური და ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულებრივი;
2. ბავშვთა სექსუალობის შესახებ მონაცემების მოსაკრებად კინსი მიმართავდა ბავშვთა გარეუნასა და მათზე ძალადობას;
3. სექსუალური განათლების მთელი ინდუსტრია ამოიზარდა კინსის ფალსიფიცირებული მონაცემებიდან;
4. კინსის იდეებზე დაფუძნებული სექსუალური დანაშაულისათვის სისხლის-სამართლებრივი დასჯის მოდელმა მიგვიყვანა ბავშვთა გარეუნის დანაშაულის შერბილებამდე, ამით გაზარდა რისკი ბავშვებისა და ქალებისათვის.

ჯუდიტ რეისმანი ამტკიცებს, რომ არსებობს „მედიასტებლიშმენტის” ფართომასშტაბიანი შეთქმულება, რომლის მიზანია ბავშვების ჩართვა ჰომოსექსუალიზმში. იგი, ასევე, ამტკიცებს, რომ სექსოლოგია, სინამდვილეში, მეცნიერება კი არ არის, არამედ საბურველი, საფარი ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილიის პროპაგანდისათვის, ფინანსირების მიღების მიზნით.

ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის კომიტეტმა, ისეთი ცნობილი სპეციალისტის ჩათვლით, როგორიცაა ჯონ ტაკი, შეისწავლა და გააკრიტიკა კინსის რესპოდენტთა შერჩევის პროცედურა. ჯონ ტაკი ამტკიცებდა, რომ „სამი ადამიანის შემთხვევით შერჩევა უკეთესი იქნებოდა, ვიდრე კინსის მიერ განხორციელებული 300 ადამიანის შერჩევა”. ცნობილია, რომ კინსის რესპოდენტებს შორის, ძირითადად, იყვნენ სექსუალური მოძალადეები, - ან ციხეში მყოფნი, ან სასჯელმოხდილნი, - ასევე პედოფილები და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლები. და სწორედ ასეთი ადამიანებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ადამიანის სექსუალური ქცევის შესახებ მიღებული დასკვნები დაედო საფუძვლად

სექსუალური განათლების მეთოდოლოგიას მსოფლიოში, მათ შორის - ევროპულ სტანდარტებს. პედოფილების მიერ თავიანთი გამოცდილებისა და პრაქტიკიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით განისაზღვრა ბავშთა სექსუალობის ცნება და ქცევის თავისებურებები, და, აქედან გამომდინარე, - განისაზღვრა სექსუალური განათლების მეთოდოლოგია და პრინციპები. აი, ასეთი დრამატული სურათი გვაქვს სინამდვილეში.

სექსუალური განათლების ევროპული სტანდარტების აპოლოგეტთა გაგებით „სექსუალურობა არის ადამიანის ყოფის ცენტრალური ასპექტი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში და მოიცავს სექსს, გენდერულ იდენტურობებსა და როლებს, სექსუალურ ორიენტაციას, სქესობრივ ინსტინქტს, სიამოვნებებს, სურვილებს, რწმუნებებს, გაგებებს, ფასეულობებს, ქცევებს, სქესობრივ როლებსა და ურთიერთობებს. ამასთან, ისინი დასძენენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სექსუალურობა შეიძლება მოიცავდეს ყველა ამ ასპექტს, ყოველთვის არ შეიგრძნობა და არ ვლინდება ყველა მათგანი; და რომ სექსუალურობაზე ზემოქმედებს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთიკური, სამართლებრივი, ისტორიული, რელიგიური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა”. ამგვარად, ადამიანის ყოფის თანამედროვე ევროპული გაგება დიდად არ დაშორებია ფრონდიზმის პრინციპებსა და გაგებას, და, რაოდენ სავალალოა, რომ ეს მსოფლმხედველობა მათ სკოლებში სექსუალური განათლების პროგრამის სახით შეაქვთ და ბავშვობიდანვე ღუპავენ ახალგაზრდა სულებს. მეცნიერულმა კვლევამ, მათ შორის ფსიქოლოგისა და სოციოლოგის სფეროებში, დაამტკიცა, რომ ფრონდიზმის მიმდევარი ადამიანი უფრო ადვილად სამართავი ხდება. ეს მნიშვნელოვანი დასკვნა სავსებით გასაგებს ხდის იმის მიზეზს, თუ რატომ ეფუძნება მსოფლიო, მათ შორის, ევროპის სექსუალური განათლების თანამედროვე მეთოდოლოგია, პრინციპები და სტანდარტები ფრონდიზმსა და ალფრედ კინსის კონცეფციებს, - ეს სრულ თანხმობაშია გლობალიზმის მიზნებსა და ანტიქრისტეს სტანდარტებთან.

თუ ამას იუვენალური იუსტიციის მოვლენასაც დავუკავშირებთ, დავინახავთ, თუ რაოდენ ტრაგიკულია ევროპაში საგანმანათლებლო და სოციალური სიტუაცია. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში იუვენალური ფაშიზმი იკიდებს ფეხს. ჩვენ ამის უამრავ გამოვლინებას ვხედავთ. ვნახეთ, თუ როგორ დააპატიმრეს გერმანიაში მეოთხეკლასელის მამა მხოლოდ იმისთვის,

(<https://www.facebook.com/photo.php?v=415066601933000&set=vb.100002889928253&type=2&theater>)

რომ მისმა შვილმა სექსუალური განათლების 2 გაკვეთილი გააცდინა, და გააცდინა იმის გამო, რომ ვერ უძლებდა იმ გარეყნილების ყურებასა და სმენას, რასაც ამ გაკვეთილებზე ანახებდნენ და ასმენინებდნენ. ასეთი გაკვეთილების დროს ბავშვები არა მხოლოდ უხერხულობას ავლენენ და მიუღებლობაზე საუბრობენ, არამედ ხშირია დაზაფრულობა, გულყრები და დეპრესია. ასევე, ვნახეთ, თუ როგორ წართვეს ნიდერლანდებში დედას ორი ცხრა წლის შვილი მხოლოდ იმიტომ, რომ დედამ არ იცოდა ნიდერლანდული ენა და შვილებს მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა.

(<https://www.facebook.com/photo.php?v=427664580673202&set=vb.100002889928253&type=2&theater>).

სამართალდამცავმა ინსტანციებმა არ დააკმაყოფილეს დედის სარჩელი და ეს შემდეგნაირად დაასაბუთეს: „დედა არასაკმარისადაა ინტეგრირებული საზოგადოებაში და იცის მხოლოდ რუსული ენა”. ასეთი არაადამიანური, ძალადობრივი შემთხვევები სხვაც არაერთი ყოფილა და ევროპარლამენტში მოკლე პერიოდის განმავლობაში, მოყვანილის შეგავსი სხვა 8 საქმეც განიხილებოდა. ოფოციალური მონაცემებით 2011 წელს გერმანიაში იუვენალური იუსტიციის აღმასრულებელმა ორგანიზაციამ ძალის გამოყენებით ტრადიციული ოჯახებიდან გამოიყვანა და ერთსექსიან „ოჯახებს“ გადასცა 38500 ბავშვი. იუვენალური იუსტიციის მიზანია, მშობლებს წაართვას შვილები და ისე აღზარდოს, მათ შორის, სექსუალური განათლების საშუალებითაც, როგორც ეს ევროპის დემონიზებულ „მამებს“ სურთ. იუვენალური იუსტიციის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა ჩვენს წიგნში „ანტისოდომია“ და, ვფიქრობთ, ამ თემას კიდევ დაგუბრუნდებით.

ახლა ვნახოთ, თუ რა ხდება საქართველოსთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი ევროპის სექსუალური განათლების სტანდარტები სამართლებრივ კოლიზიას ქმნიან საქართველოში არსებულ კანონებთან, ანუ ეწინააღმდეგება, კერძოდ, იმ ნორმებს, რომლებიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებენ პირს არასრულწლოვანების გარყვნის გამო. ხსენებული პრინციპები ეწინააღმდეგებიან „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მთელ რიგ დებულებებს, ასევე სხვა კანონებსა და კონსტიტუციურ ნორმებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდება პასუხისმგებლობის ელემენტარული გრძნობა ხალხის, ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, ევროპის საბჭოს მოთხოვნით არსებული საკანონდებლო ნორმები შეიცვლება იმ მიმართულებით, რომ „პარმონიზირებულ“ იქნენ ევროპის დემონიზებულ სტანდარტებთან და მოყვანილი სტანდარტების დანერგვა განათლებისა და ინფორმაციის გავრცელების სფეროში არ იწვევდეს სამართლებრივ კოლიზიებსა და არ ქმნიდეს ორმაგ სტანდარტებს. ამის მაგალითი იყო რამდენიმე წლის წინ ნაც-ხელისუფლების მიერ მიღებული ცვლილებები მაუწყებლობისა და მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის კანონებში, ასევე მაუწყებლობის ქცევის კოდექსის „თავისუფლების ინსტიტუტისეული“ ვარიანტის დაკანონება, რაც, არსობრივად, იყო ნაბიჯი მოზარდებისათვის განრყენელი ინფორმაციის მიწოდებისადმი შეზღუდვების მნიშვნელოვან შერბილებისაკენ.

იმაზე, რომ სწორედ ზემოთ ხსენებული სტანდარტები იქნება ევროპის სტრუქტურებიდან რეკომენდირებული საქართველოს ხელისუფლებისადმი სახელმძღვანელოდ და დასანერგად, მივვითითებს დოკუმენტი: CM/Rec [2010]5, „იმპლემენტაციის მონიტორინგი, საქართველო 2012: ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის - სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე; რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი“. დოკუმენტის ავტორია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“.

თუ ევროსაბჭოს ამ რეკომენდაციას გავეცნობით, აშკარად დავინახავთ, რომ მისი შეფარული მიზანია წევრი ქვეყნის, ამ შემთხვევაში, სქართველოს ხელისუფლების იმულება, შექმნას სამართლებრივ-რეპრესიული მექანიზმები და შემდგომ გამოიყენოს ისინი, რათა იძულების გზით თავს მოახვიოს ქართველ ხალხს მისი მრწამსის, ზნეობის, კულტურისა და

ტრადიციებისათვის მიუღებელი ცხოვრების წესი და ქცევის ნორმები, მათ შორის, სექსუალური განათლება..

ამ მოკლე შეფასების შემდეგ უფრო დეტალურად განვიხილოთ ევროსაბჭოს რეკომენდაციები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. 2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“.

ევროსაბჭოს რეკომენდაციაში ცალკე საკითხადაა გამოყოფილი განათლების სფერო. ევროსაბჭო ქვეყნებს აძლევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო გეგმებსა და პროგრამებში შეიტანონ ისეთი „საგანმანათლებლო“ მასალები, რომლებიც მოზარდებს ჩაუნირგავენ ლგბტ გამოვლინების მიმართ პოზიტიურ განწყობას, დაუსახავენ ლგბტ სექსუალურ ქცევის ნორმალური ცხოვრების წესად. აი, ამონარიდები ზემოხსენებული დოკუმენტიდან:

„9. განათლების სამინისტრომ, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, უნდა შეიმუშავოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ინკლუზიურ განათლებას; მაგალითად, შესაძლებელია სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა“ (გვ. 7);

„32. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად მიუხდავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციითა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება“ (გვ. 39).

დააკვირდით, თურმე, ბავშვის უპირატესი ინტერესია ის ინტერესები, რომელსაც მას ლგბტ ზირებული ევროპა დაუსახავს, და არა ოჯახი და საზოგადოება, ამ საზოგადოების კულტურა და ტრადიციები, რწმენა და ზნეობა. ევროსაბჭოს რეკომენდაციების თანახმად, მოზარდის უპირატესი ინტერესია „ლგბტური“ ნორმებით, და არა წარუვალი, ღმრთისმიერი, სახარებისეული მცნებებით ცხოვრება, ყოველივე იმით, რაც იყო ჩვენი ისტორიულად გამოცდილი გზამკვლევი, სულიერად და ფიზიკურად გადამრჩენი, - სახარებისეული სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კატეგორიები და ნორმები.

ევროსაბჭოს რეკომენდაცია იჭრება თვით ოჯახში და, ფაქტორივად, მშობლებს შვილებს ართმევს. ზემოთ ხსენებულ ანგარიშში, როგორც დისკრიმინაციის გამოვლინება, მოყვანილია მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობდა დედა სამედიცინო საშუალებებით განეკურნა თავისი შვილი სექსუალური გადახრისაგან. მშობლის ასეთი ქმედება დისკრიმინაციად შეფასდა და იგობა იგი; სახელმწიფოს ეძლვა რეკომენდაცია, რათა შეიმუშავოს მექანიზმები მშობელთა მსგავსი ქმედებების შესაზღუდად. აი, ამონარიდები ევროსაბჭოს რეკომენდაციიდან: „იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის უფლებასთან და მეურვეობასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით” (გვ. 39); „16. სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს უფერტური დაცვა ოჯახური ძალადობისაგან, მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიმულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად” (გვ. 8). ანუ, გამოდის, რომ, თუ მშობელმა შვილს შეამჩნია ბიოლოგიური სქესიდან გადახრისკენ მიდრეკილება, მას არ ეწება უფლება, რომ მიმართოს სამედიცინო საშუალებებს, რათა შვილს არ განუვუთარდეს ეს მიდრეკილებები და დაუბრუნდეს თავის ბიოლოგიურ სქესს. ამგვარად, ჩვენ გვერთმევა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება ტრადიციული ოჯახის ქონისა, ტრადიციული ოჯახური თანაცხოვრებისა, დედაშვილობისა და მამაშვილობისა. მშობლებს ერთმევათ უფლება, თავად განსაზღვრონ, რა არის მათი „ბავშვის საუკეთესო ინტერესი”, - რეკომენდაციის თანახმად, თურმე, ბავშვების საუკეთესო ინტერესი ზნეობრიობა და სიწმინდე კი არ არის, არამედ - მათი სექსუალური გადახრის საბოლოოდ ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა.

ამგვარად, ევროპის მხრიდან ზეწოლა აშკარაა. დღეს თუ ეს მივიღეთ, ხვალ იგივე ევროპა გვეტყვის, რომ თქვენი მოზარდის უპირატესი ინტერესი პედოფილური კავშირი არისო; და მაშინ, თუკი ვინმე ზრდასრულმა აცდუნა და დაითანხმა თქვენი შვილი სექსუალურ აქტზე, თქვენ უფლება არ გექნებათ თქვენი ბიჭუნა ან გოგონა გამოსტაცოთ ბილწ ბიძიას ან დეიდას. ხვალ ევროპა, ასევე, მოგვიწოდებს ჩვენ, მშობლებს, რომ სექსუალური კავშირი ვიქონიოთ ჩვენს შვილებთან, შვილებს - ერთმანეთთან, ყველას ყველასთან, ნებისმიერს - ნებისმიერთან, ცხოველებისა და გვამების ჩათვლით. ყველა, ვინც დღეს ლგბტ-დამცელად გვევლინება, ხვალ იმავე არგუმენტებით პედოფილისა და ინცესტის დამცველად მოგვევლინება. დღეს პომოფობიასთან ბრძოლის საბაბით ქადაგებენ პომოსექსუალიზმსა და სხა გადახრებს, ხვალ ინცესტოფობითა და პედოფილოფობის დროშებით გამოვლენ და იქადაგებენ გაუგონარ ზნედაცემულობას. და, თუ ეს მივიღეთ და შევიწყნარეთ, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დაცემა, ფიზიკური და სულიერი განადგურება. ეს იქნება ქვეყნის დასასრული!

ამიტომ ვამბობთ: ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა, ასეთი დასავლეთი. განსახილველი თემიდან გამომდინარე კი ვაცხადებთ: ჩვენ არ გვინდა ისეთი განათლება, განათლების ისეთი სტანდარტები, რომლებიც მოახდენენ ჩვენს ინტეგრაციას დღევანდელ სოდომგომორულ და ხვალინდელ პედოფილურ-ინცესტურ ევროპაში; განათლება, რომელიც ფეხქვეშ თელავს ქართველი ხალხის უფლებებსა და ძირეულ ინტერესებს; განათლება, რომელსაც მივყავართ სოდომ-გომორისა და იუვენალური ფაშიზმისაკენ! გზა, რომელიც გვაახლოებს ანტიქრისტეს! ჩვენ გვაქვს არჩევანის უფლება და ეს არჩევანი დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია!

ავთანდილ უნგიაძე  
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი